გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 247 საკითხის განხილვაში. დავესწარი საკრებულოს ბიუროს 27 სხდომას და 424 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი დავესწარი ფრაქციის 5 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 27 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი დავესწარი 10 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 15 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 20 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია:

- შევხვდი გორში აღმაშენებლის ქუჩის მაცხოვრებლებს გეპეის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოსახლეობა ითხოვს ტრანსპორტის მომსახურების სერვისის განვითარებას და რამოდენიმე მარშრუტის დამატებას.
- გორიჯვრის ქუჩის ბოლოში დაზიანებულია საკანალიზაციო მილი, დაბინძურებული წყალი იღვრება ავტომაგისტრალზე და ქმნის საფრთხეს განსაკუთრებით ყინვის დროს.
- ქ. გორში, თამრ მეფის #114 საცხოვრებელი სახლის ცხოვრებისათვის შეუფერებელი პირობების გამო, 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება საცხოვრებელი კოტეჯის განთავსება.
- ქ. გორში, ძმები რომელაშვილების #179-ის ტერიტორიაზე განთავსებულია უთავსახუროდ დარჩენილი საკანალიზაციო ჭების პრობლემა.
- ქ.გორში, თამარ მეფის ქუჩა N126-ში (ყოფილი სისხლის გადასხმის სადგური) რამოდენუიმე ოჯახს აქვს ელექტროენერგიის პრობლემა.
- ძმები რომელაშვილების 181 კორპუსის ბინის სადარბაზოების რეაბილიტაცია
- თამარ მეფის 4 კვარტალი კორპუსი 11 საჭიროა შიდა ეზოს მოსაასფალტება

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

სრულად და ნაწილობრივ მოგვარდა:

- ჩემი ინიციატივით მოხდა სოციალურ წესში ცვლილება, კერძოდ: უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვრა 180 ლარით
- სულხან-საბას ქუჩაზე, მე-8 სკოლის მხარე. მოსახლეობა ითხოვდა გზის ასფალტის რეაბილიტაციას და ტროტუარების გაკეთებას.
- რაზმაძის ქუჩაზე ჩატარდა გზის ასფალტისა და ტროტუარების რეაბილიტაცია.
- სულხან-საბას ქუჩაზე მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნით გაკეთდა ქუჩის ასფალტის საფარისა და ტროტუარების რეაბილიტაცია, რომელიც თითქმის სრულად მოშლილი იყო.
- გაკეთდა კვერნაკის დასახლებაში სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლაში არსებული ღია სპორტული მოედნი და სკოლის ეზოს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.
- გამოიცვალა ქ. გორში ცაბაძის #5 ბინის დაზიანებული სახურავი.
- დაგეგმილია ქ.გორში, თამარ მეფის ქუჩა N126-ში (ყოფილი სისხლის გადასხმის სადგური) მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება.
- მოგვარდა ქ.გორში, თამარ მეფის ქუჩა N126-ში (ყოფილი სისხლის გადასხმის სადგური) მცხოვრები მოსახლეობის მუნიციპალური ტრასპორტით გადაადგილების პრობლემა.
- მოასფალტდა ქ. გორში სტალინის #33 ბინის შიდა ეზო.
- ქ. გორში, კვერნაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გაიწმინდა დიდი ოდენობით დაყრილი სამშენებლო ნაგავი.
- ქ. გორში რომელაშვილების ქუჩის N1, N3 და N5-ში დაიგო გზა ასფალტის საფარით და გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა.
- დაიხაზა და განახლდა საფეხმავლო ზებრა გადასასვლელები.
- ქ. გორში სამეფოს ქუჩის N40 და N42 სახლებს შორის დაიგო ასფალტის საფარი და გამოიცვალა სანიაღვრე სისტემა.
- გაკეთდა პროექტისამების ეკლესიასთან მისასვლელი კიბის და მიმდინარეობს სამუშაო პროცესი.
- მოეწყო ქ. გორში სამების ქუჩისა და პეტრიაშვილის ქუჩის მიმდებარედ სკვერი.
- გაკეთდა გორის მუნიციპალიტეტის კრივის სპეციზირებული სპორტილი სკოლის პროექტი და 2024 წელს იგეგმება აღნიშნული სკოლის სრული რეაბილიტაცია.

- მიმდინარეობს ქუთაისის ქუჩის რეაბილიტაცია
- გაკეთდა აღმაშენებლის ქუჩის საფეხმავლო გზა
- მოხდა დიდების მუზუმთან მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია, მოეწყო ახალი განათებები
- ქ.გორში სტალინის 7 ის ეზოში გაკეთდა სკვერი სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში
- ქ.გორში, რუსთაველის N49 მოპირკეთდა შიდა ეზო
- ქ.გორში, თამარ მეფის N33 ეზოში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ქ.გორში, სტალინის N13 დაიგო გზა და გაკეთდა საკანალიზაციო სისტემა
- ქ.გორში, ჩაუტარდა ჩხეიძის ქუჩას რეაბილიტაცია
- ქ.გორში, მოასფალტდა ბაგრატიონის, სააკაძისა და ჩერქეზიშვილი ქუჩა;
- ანტონოვის ქუჩაზე გაკეთდა საფეხმავლო ბილიკი;
- ძმები რომელაშვილების N190 გაკეთდა შიდა ეზო და საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია, მიმდინარეობს რომელაშვილების ქუჩის გზის რეაბილიტაცია
- კეთდება თამარ მეფის 5 კვარტალი კორპუსი 21 სადრბაზო შიდა ეზო;
- დაწყებულია პროექტი ჭალის სტადიონის რეაბილიტაციისთვის;
- ქვერნაქის დასახლებაში ქუჩების: რაზმაძის, პეტრიაშვილის, სულხან საბასა და ბუხაიძის მოსახლეობისთვის გაკეთდა უწყვეტი წყალ მომარაგება.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, როგორიცაა გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2023 წლის 30ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერე: დავით რაზმაძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ბექა ლობჟანიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქ.გორის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი;

სხდომას თავმჯდომარეობდა: დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ბექა ლობჟანიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ბექა ლობჟანიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1

ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ბექა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: პაატა ციცაგმა, ელიზა ტაველიძემ და სოფო გივიაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : ბექა ლობჟანიძე.